*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს კანდიდი საშუალო სკოლა

**შეფასების თარიღ(ებ)ი 01,02 ივნისი 2022 წ.**

**დასკვნის წარდგენის თარიღი 19.06.2022 წ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს კანდიდი საშუალო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 209476173 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **თბილისი** |
| იურიდიული მისამართი | საქართველო, თბილისი, გლდანი ნაძალადევის რაიონი, გლდანი, კვარტალი 02, ნაკვეთი №248 |
| ფაქტობრივი მისამართი | **ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N135**<br>**ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **N61** |
| საფოსტო ინდექსი | **0107** |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.kandidi.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | **skolakandidi@gmail.com** |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **+995 593 22 11 32** |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | **მერი ქვრივიშვილი** |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **+995 579 42 11 88** |
| ელ-ფოსტა | Maiakvrivishvili80@gmail.com |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | მარინე ქვრივიშვილი |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | +995 579 39 55 33 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 02/05/2022 წლის ბრძანება MES 2 22 0000435245 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 01-02 ივნისი. 2022 წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ლიანა კობესაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | ლევან ღურწკაია |

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ | **მუხლი 6/ პუნქტი** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლ. კობესაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო გეგმას | ა) | | |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ..... |
| | *1.2.* | ..... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ..... |
| | *1.2.* | ..... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | ..... |
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | სკოლის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ორიენტირება მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე.<br>სკოლა სისტემატურად ახდენს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვას და მათი სურვილიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესებს მორგებული კლუბების მუშაობის მხარდაჭერას. ახდენს მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს თავადაც შექმნან, დაგეგმონ და მართონ კლუბების მუშაობა, რაც მოსწავლეებში ოცდამეერთე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის მისიაა მოსწავლის თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული ცოდნით აღჭურვა და მისი ფორმირება ისეთ ინდივიდად, რომელიც შეძლებს საკუთარი სამოქალაქო თუ საზოგადოებრივი ღირებულებების, ეროვნული ფასეულობების გაცნობიერებას. სკოლა მზად არის აღზარდოს ჰუმანური, ინტელექტუალი, კრიტიკულად მოაზროვნე თაობები.<br>სკოლის მოსწავლეები შეძლებენ, თამამად უპასუხონ 21-ე საუკუნის გამოწვევებს და ინტეგრირდებიან საერთაშორისო დონეზე. ამისთვის კი სკოლაში მიმდინარეობს ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლება. სკოლა ,,კანდიდის“ მისიაა მოსწავლეებმა გამოხატონ მზაობა მომავალი საზოგადოებრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ინტეგრაციისთვის. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 600 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლამ წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენს ერთიან დოკუმენტს, სარჩევით, დანომრილი ნაწილებით და დანართებით. სასკოლო სასწავლო გეგმა შინაარსითა და სტრუქტურით ეროვნული სასწავლო გეგმის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაბამისია, შემუშავებულია სკოლის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ემსახურება სკოლის მისიის მიღწევას. სკოლა დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურებით, საათობრივ ბადეში განხორციელებული ცვლილებებით და არაფორმალური განათლების აქტივობებით ხელს უწყობს მისიის მიღწევას-მოსწავლეებმა გააცნობიერონ სამოქალაქო ღირებულებები და ეროვნული ფასეულობები, იყვნენ ჰუმანურები და იაზროვნონ კრიტიკულად.<br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება სკოლამ დაიწო 2020-2021 სასწავლო წლის დასრულებისთანავე. 2021 წლის 21 ივნისს შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს N5 სხდომაზე შეფასდა 2020-2021 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და განხილულ იქნა მასში შესატანი ცვლილებები, რაც აისახა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტი, კერძოდ:<br>• სკოლის მისია;<br>• სასკოლო საათობრივი ბადე;<br>• გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისათვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისათვის და სხვა;<br>• დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>• და სხვა<br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის 2021 წლის 07 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N1 სხდომაზე და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 07 სექტემბრის N01-78 ბრძანებით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადე პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ საათობრივი ბადის მესამე მოდელს. სკოლის საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტთან.<br>საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახით სკოლა მოსწავლეებს დამატებით სავალდებულო საგნებად სთავაზობს: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მეორე უცხოური ენა-რუსული III და IV კლასებში;<br>• ცეკვა - I-II კლასები;<br>• ჭადრაკი-I,IV,V,VI კლასებში;<br>• სახალისო მათემატიკა- IV კლასში;<br>• მენტალური არითმეტიკა I-IIკლასებში;<br>• პრაქტიკული ინგლისური -I და IX კლასებში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია აღნიშნული საგნების სწავლების მიზნები და შეფასების სისტემა. წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები. დამატებით სავალდებულო საგნებში მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით გამონაკლისს წარმოადგენს პრაქტიკული ინგლისური მეცხრე კლასში და ჭადრაკი მეხუთე და მეექვსე კლასებში, სადაც მოსწავლეები ფასდებიან ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა სისტემით.<br>სკოლას I-V კლასებში აქვს გახანგრძლივებული სწავლების სერვისი. პირველი ოთხი კლასისთვის მეცადინეობა გრძელდება 16:00 საათამდე, ხოლო მეხუთე კლასისთვის 16:30 სთ-მდე.<br>არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს:<br>• კარლ პოპერის სტილის ფორმალური დებატების კლუბი VIII-XII კლასების მოსწავლეთათვის;<br>• ლიტერატურის კლუბი VII-XII კლასების მოსწავლეთათვის;<br>• სპორტის (კარატე) კლუბი;<br>• ფსიქოლოგიის საფუძლები X-XII კლასების მოსწავლეთათვის;<br>• ცეკვის კლუბი.<br>კლუბების ფუნქციონირების მიზნები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით.<br>მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში ფუნქციონირებს:<br>• სამართლის კლუბი;<br>• რობოტიკის კლუბი;<br>• კინოკლუბი.<br>სკოლას არაფორმალური განათლების ნაწილში კათედრებისა და დამრიგებლების ჩართულობით დაგეგმილი და განხორციელებული აქვს მთელი რიგი აქტივობები და სასკოლო ღონისძიებები მათ შორის მდგრადი განვითარების 17 მიზნის შესაბამისი აქტივობები.<br>დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისას იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, გამონაკლისს წარმოადგენს ინგლისური ენის სახელმძღვანელოები. პირველ-მეექვსე კლასებში დაწესებულება იყენებს Cambridge University Press გამომცემლობის, ხოლო მეშვიდე-მეცხრე კლასებში Pearson Longman გამომცემლობის სახელმძღვანელოებს, რაზედაც სკოლამ წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რომლის თანახმადაც სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი პირველი უცხოური ენის – ინგლისურის სწავლება კონკრეტულ კლასებში განხორციელდეს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად შერჩეული და სამინისტროსთან შეთანხმებული, იმ არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით, რომლებიც წარადგინა სკოლამ თავის კორესპონდენციაში .<br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.<br>მიმდინარე წელს სკოლამ მშობლებს მისცა შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესს დასწრებოდნენ დისტანციურად. რის შედეგადაც მოსწავლეთა ნაწილი პერიოდულად ესწრებოდა საგაკვეთილო პროცესს დისტანციურად. სკოლა, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დისტანციური პროცესის მონიტორინგის შესაბამისად, ადევნებდა თვალს აღნიშნულ პროცესს მის განხორციელებაზე განსაზღვრული უფლებამოსილი პირების დახმარებით. დისტანციურ სწავლებაზე გადასულ მოსწავლეთა მონაცემები აღრიცხულია. მოსწავლეებს დისტანციური კომუნიკაციის, დისტანციურად გაკვეთილებზე დასწრების პრობლემა არ ჰქონიათ.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე, რითიც უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2021-2022 სასწავლო წლის შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა დანართებით;<br>• შპს „კანდიდი“საშუალო სკოლის დირექტორის 2021 წლის 07 სექტემბრის N01-78 ბრძანება;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 21 ივნისის N5 სხდომის ოქმი;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 07 სექტემბრის სხდომის ოქმი N1;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის N04-169 წერილი გაგზავნილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მესამე მოდელის საათობრივი ბადის დასაბუთებაზე;<br>• შპს „კანდიდი“საშუალო სკოლის N04-176 წერილი გაგზავნილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ინგლისური ენის სახელმძღვანელოების შეთანხმებაზე;<br>• განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის 13/09/2021 წლის MES 1 21 0000908529 კორესპონდენცია ინგლისური ენის არაგრიფირებულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სახელმძღვანელოების გამოყენების თაობაზე;<br>• განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის 2021 წლის 10 სექტემბრის პასუხი MES 3 21 0000896291. თანხმობა საათობრივი ბადის ცვლილებაზე ;<br>• ინტერვიუ სკოლის დირექციასთან;<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>• ინტერვიუ მშობლებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლა, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმას, ითვალისწინებს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, აძლევს რა მათ საშუალებას ჩამოაყალიბონ კლუბები ინტერესებიდან გამომდინარე ერთის მხრივ და მეორეს მხრივ თავად სთავაზობს ასარჩევად კლუბებს. კლუბების შეთავაზებას წინ უძღვის გამოკითხვები მოსწავლეთა ინტერესების გასათვალისწინებლად. სკოლა გამოკითხვებს ახორციელებს ყოველწლიურად.<br>კათედრაზე წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებები არის მრავალფეროვანი (ტესტი ღია და დახურული კითხვებით, პრეზენტაციები, ესე, ამოცანები, სტატიის დაწერა და სხვა). გაანალიზებულია მოსწავლეთა ცოდნა და უნარები ასევე საჭროებები კლასის დონეზე. სკოლა ეტაპობრივად ნერგავს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. შესაბამისად სკოლა უკვე იყენებს კომპლექსურ კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისაკენ. კომპლექსური დავალებები გაკეთებულია ყველა საგანში და კლასში მინიმუმ ერთი.<br>ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებების პროდუქტები და სოლო ტაქსონომიით განხორციელებული მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ნიმუშები.<br>სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი საგნობრივი კათედრა. ესენია:<br>• ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები;<br>• ზუსტი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ისტის და კომპიუტერული მეცნიერებების მასწავლებლები;<br>• საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თვდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები;<br>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, არჩევითი საგნის-შესავალი თანამედროვე ფიზიკაში, ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის მასწავლებლები;<br>• უცხოური ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის-რუსული ენის მასწავლებლები, ასევე არჩევითი საგნის ამერიკისმცოდნეობის მასწავლებელი;<br>• დაწყებითი (I-IV) კლასების, ესთეტიკური და სპორტული კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, არჩევითი საგნის-კინოხელოვნების, მენტალური არითმეტიკა, ჭადრაკის, ცეკვის, მუსიკის და ფიზიკური აღზრდის/სპორტის მასწავლებლები.<br>კათედრების მუშაობა რეგულირდება შესაბამისი დებულებებით. კათედრების სხდომაზე იგეგმება და განიხილება ჩატარებული/განხორციელებული სასწავლო პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები. ინტეგრირებული გაკვეთლები მუშავდება ასევე კათედრებს შორის თანამშრომლობითაც და მიემართება მოსწავლეებში კვლევითი და თანამშრომლობითი უნარების, პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.<br>მასწავლებლებს გაკეთებული აქვთ ელექტრონული პორთფოლიოები ბლოგების სახით, ხოლო კათედრის ხელმძღვანელებს კათედრის ელექტრონული ბლოგები. მათზე თავისუფალი წვდომა შეზღუდულია. ბლოგებზე წვდომა აქვს სკოლის დირექციას და უშუალოდ მასწავლებლებს. ბლოგებზე წარმოდგენილია მასწავლებლების/კათედრების მუშაობის ამსახველი მასალა.<br>ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესასრულებლად კათედრა შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, საგაკვეთილო პროცესისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკისათვის არჩევს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, საგანმანათლებლო რესურსებს და წარუდგენს პედსაბჭოს, ამუშავებს შეფასების კომპონენტებს შესატყვისი რუბრიკებით, სემესტრის ბოლოს განიხილავს კათედრის საქმიანობას, შემაჯამებელი დავალებების შესრულების დროს გამოკვეთილ მოსწავლეთა საჭიროებებს და შესრულებულ კომპლექსურ დავალებებს, რათა საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინოს შესაბამისი მხარდაჭერა მოსწავლეს.<br>მეორე უცხოური ენის არჩევა ხდება მოსწავლეთა მშობლების გადაწყვეტილებით.<br>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარების და ღირებულებების შესაძენად/განსამტკიცებლად სკოლას განსაზღვრული აქვს დამატებითი სავალდებულო საგანი „ჭადრაკი “, სახალისო მათემატიკა, მენტალური არითმეტიკა, ცეკვა და პრაქტიკული ინგლისური.<br>დაწესებულება საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ასარჩევად სთავაზობს სამ არჩევით საგანს: ამერიკისმცოდნეობას, შესავალს თანამედროვე ფიზიკაში და კინოხელოვნებას.<br>დამრიგებლები სასწავლო წლის დასასრულს აკეთებენ სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილებზე დასწრების ქცევის ანალიზს. აფასებენ მოსწავლის ძლიერ მხარეებს, წარმატებებს აკადემიური და სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებში და სხვა ღონისძიებებში, მოსწავლის კოგნიტური, ემოციური, ფიზიკური და სოციალური განვითარებისათვის მნიშნელოვან საკითხებს და წერენ მოსწავლის მოკლე დახასიათებას მისი შემდგომი გათვალისწინების მიზნით.<br>ამრიგად, სკოლა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ და განივითარონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცოდნა და უნარები. საგაკვეთილო პროცესში მიღებული სასწავლო გამოცდილება დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ სხვადასხვა კლუბებში, სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის კათედრის დებულებები;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის კათედრის ოქმები;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის კათედრების თავჯდომარეების ანგარიშები;<br>• შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზის დოკუმენტები;<br>• მასწავლებელთა და კათედრების ბლოგები/პორთფოლიოები;<br>• ინტერვიუ მშობლებთან; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>• ინტერვიუ დირექციასთან;<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლა ცდილობს ყველა მოსწავლეს შეუქმნას სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები. რაზეც მეტყველებს ის გარემოება, რომ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების დროს სხვა კომპონენტებთან ერთად ფასდება, თუ საგაკვეთილო აქტივობების დაგეგმვისას, რამდენად ითვალისწინებს მასწავლებელი მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რამდენად ჰყავს ყველა მოსწავლე ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში, ახდენს თუ არა მასწავლებელი ნაკლებად თავდაჯერებული მოსწავლის გააქტიურებას, რას აკეთებს მასწავლებელი იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებმა ვერ შეძლეს მოსალოდნელი შედეგის მიღწევა.<br>მიმდინარე სასწავლო წელს, ისევე როგორც გასულ წელს, სკოლის მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი პერიოდულად იმყოფებოდა დისტანციურ სწავლებაზე. სკოლა აწარმოებდა აღნიშნული პროცესის სისტემატურ მონიტორინგს. მიმდინარე სასწავლო წელს დისტანციურ სწავლებაში მოსწავლეებს ჩართვის პრობლემა არ ჰქონიათ. პირისპირ სწავლებაზე დაბრუნებისას სკოლა ინდივიდუალურ დახმარებას უწევდა მოსწავლეებს მათი საჭიროებიდან გამომდინარე.<br>სკოლაში სსსმ მოსწავლე არ სწავლობს, თუმცა დაწესებულება გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს მისთვის სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, რისთვისაც სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ფორმები;<br>• ინტერვიუ სკოლის დირექციასთან;<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სრულ შესაბამისობაშია.<br>მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებათა სქემებს. განმავითარებელი შეფასებით აფასებს მოსწავლის პროგრესს დინამიკაში, განმსაზღვრელი შეფასებით კი მოსწავლის ცოდნას საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.<br>შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი-ყველაზე დაბალი.<br>ეროვნული სასწავლო გეგმის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, კერძო სკოლას უფლება აქვს დაადგინოს გაძლიერებული საგნის/საგნების დაძლევის ბარიერი. შესაბამისად სკოლას რიგ საგნებში, კერძოდ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ინგლისურ და რუსულ ენებში დაძლევის ბარიერად განსაზღვრული აქვს წლიური 6.0 და მეტი ქულა, სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში - ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა, ხოლო დანარჩენ საგნებში 5.0 ან მეტი ქულა, სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდების, სემესტრული გამოცდების ჩატარების და შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ვადები.<br>სკოლამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი სქემები საფეხურების, საგნების და კომპონენტების მიხედვით. შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილი აქვთ როგორც ტესტური (ღია და დახურული შეკითხვებით) ასევე კომპლექსური დავალებები, ესეები, პრეზენტაციები და სხვა. შემაჯამებელი დავალებები გაანალიზებულია კლასის დონეზე. სასურველია მათი გაანალიზება მოხდეს ასევე კონკრეტული მოსწავლის საჭიროების დონეზეც. რაც შეეხება კომპლექსურ დავალებებს და მათ შეფასებას, ამ შემთხვევაში გამოყენებულია დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სოლო ტაქსონომია, რომელიც ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს 5 დონის მიხედვით.<br>სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც მშობლებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია მათი შვილების მოსწრების შესახებ.<br>სკოლის შინაგანაწესის მე-3 თავით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, ხოლო მე-4 მუხლით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაკონკრეტებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლა აზუსტებს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ ატარებს ე.წ. რეიტინგულ წერებს. აღნიშნული წერების და მოსწავლეთა რეიტინგის განსაზღვრის მიზანია მოსწავლეებს გაუჩინოს სწავლის მოტივაცია. დაადგინოს განსაზღვრულ საგნებში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის დონე და სწავლების პროცესში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები. პირველი რეიტინგული წერის შემდეგ, თუ მოსწავლეს დაუდგინდა კონკრეტული საჭიროება, სკოლა 3 თვის მანძილზე მოსწავლეს უგეგმავს და უტარებს მის საჭიროებაზე მორგებულ დამატებით მეცადინეობებს, რის შემდეგაც მოსწავლემ განმეორებით უნდა დაწეროს რეიტინგული წერა. რეიტინგული წერების ანალიზის შედეგად სკოლა ადგენს ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს რეიტინგებს მოსწავლეთა წახალისების მიზნით. წარმატებულ მოსწავლეთა სურათებს აკრავენ სკოლის საჩვენებელ დაფაზე (სკოლა მშობელთან დადებული ხელშეკრულებით ათანხმებს მათი შვილის პერსონალური მონაცემების/ინფორმაციის დამუშავებასა და გამოყენებას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში იხ.დანართი 1) და მოსწავლეების მშობლებს უგზავნიან მადლობის წერილებს. სკოლა სამი წლის განმავლობაში ოთხივე საგანში უმაღლესი შეფასების მქონე მოსწავლეებს უნიშნავს ყოველთვიურ სტიპენდიას. დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 5 სტიპენდიანტი.<br>რეიტინგული წერები გავლენას არ ახდენს მოსწავლეთა შეფასებაზე.<br>II-IV კლასებში შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლა მოსწავლეთა ცოდნის დონის დიაგნოსტირების, პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის გზების დროულად მოძიების მიზნით ატარებს დიაგნოსტიკურ წერებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, პირველ უცხოურ ენაში და მათემატიკაში.<br>ამრიგად, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი დახმარების გაწევაზე. აქვს მოსწავლეთა შეფასებისა და შეფასების საფუძელზე გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის პრაქტიკა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2016 წლის 30 დეკემბრის N02/193 ბრძანებით დამტკიცებული შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის მოსწავლეთა რეიტინგის დებულება;<br>• მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება (დანართი 1);<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• დიაგნოსტიკური და რეიტინგული წერის ნიმუშები და შედეგების ანალიზი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინტერვიუ დირექციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულება აღიარებს მშობელთა აქტიური ჩართულობის დადებით გავლენას სკოლის ცხოვრებაზე, მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე და ზოგადად სკოლის შემდგომ განვითარებაზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს შექმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებთან და სხვა დასაქმებულ პირებთან. ამ მიზნებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის „მშობელთან ურთიერთობის დებულება“ (კომუნიკაციის სტრატეგია), რომლის მიზანიცაა მშობლებსა და სკოლას შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმების, შეფასების ინსტრუმენტების თაობაზე.<br>მასწავლებლი/დამრიგებელი ამყარებს მშობლებთან ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებს. გამოყოფს რა მათთან კომუნიკაციისათვის სათანადო დროს, დროულად აწვდის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ახალისებს მათ სასარგებლო ინიციატივებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ნაწილებს.<br>სკოლა ასევე ვალდებულებას იღებს და შესაბამისად ასრულებს აღებულ ვალდებულებას, აწარმოოს საგანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში, ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი და სხვა. სკოლა ახორციელებს პროექტს დაწყებით საფეხურზე „მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“. პროექტს კურირებენ დამრიგებლები, რომლებიც მშობლებთან შეთანხმებით განსაზღვრავენ მშობლების სკოლაში ვიზიტის დროს. ვიზიტის ფარგლებში მშობლები მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საკუთარი პროფესიის შესახებ და პასუხობენ მოსწავლეთა კითხვებს.<br>თავის მხრივ მშობელიც აქტიურად თანამშრომლობს სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან. ასრულებს დებულებით, სკოლის შინაგანაწესით და სკოლასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.<br>სკოლაში ყოველი კვირის პარასკევი დღე მშობლის დღედაა გამოცხადებული გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ობიექტური მიზეზების გამო სკოლაში შეზღუდულია გარეშე პირების შესვლა. მშობელსა და მასწავლებელს შორის შეხვედრას და კომუნიკაციას უზრუნველყოფს დამრიგებელი. დამრიგებლები სულ მცირე სემესტრის განმავლობაში ორჯერ აწყობენ შეხვედრას მშობლებთან პირისპირ ან ონლაინ თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით და მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლის საქმიანობის და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.<br>ელექტრონული ჟურნალი დამატებით საშუალებას აძლევს სკოლას ყოველდღიურ კომუნიკაციაში იყოს მშობლებთან.<br>საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს ასევე სკოლის ვებგვერდს და სოციალურ ქსელს.<br>მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების ფორმებია: სატელეფონო ზარი, ელექტრონული ფოსტა, წერილი, სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერა, sms შეტყობინება. მშობელთა ინფორმირების მიზნით გამოიყენება ასევე მშობელთა კრებები (მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით).<br>ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);<br>• ინტერვიუ მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სკოლა ზრუნავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებაზე მისი მუდმივი განვითარების მიზნით და აღნიშნულ შეფასებას განიხილავს როგორც სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მიმოხილვა და ანალიზი** | ხარისხის განვითარების მექანიზმის ნაწილს.<br>შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებული 2021 წლის 29 დეკემბრის N01-121 ბრძანებით) არეგულირებს სკოლაში სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების ნუსხას. სკოლისთვის ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას.<br>ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისათვის მზადებას სკოლა იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე, აფასებს რა განვლილი სასწავლო წლის შედეგებს. სკოლის დირექტორები, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერთან და კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად, სკოლის მისიის შესაბამისად, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით შეიმუშვებენ: სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს, სასწავლო წლის კალენდარს, გაკვეთილების და შესვენებების ხანგრძლივობას კლასების მიხედვით, სასკოლო საათობრივ ბადეს, მოსწავლეთა ინტერესებისა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, დამატებით საგანმანათლებლო და საყმზრდელო მომსახურების ჩამონათვალსა და შესაბამისი მომსახურების პროგრამებს, მოსწავლეთა აკადემიური შეფასების პრინციპებს, შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეთა არსებული აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისა და მიღწევების აღიარების მექანიზმებს, ინკლუზიური განათლების კონცეფციას.<br>კათედრები წარმოადგენენ გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს, ამუშავებენ საგნობრივ პროგრამებსა და კომპლექსური დავალებების პირობებს, შეფასების რუბრიკებს.<br>დამრიგებლები დებულებაზე დაყრდნობით შეიმუშავებენ დაზუსტებულ სადამრიგებლო პროგრამებს,<br>სასკოლო სასწავლო გეგმის გახორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა მთელი რიგი გამოკითხვების შედეგების ანალიზი, რომელსაც შესაბამისად გამოიყენებს ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესამუშავებლად.<br>საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების შემოწმებასა და შეფასებას ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს და განსაზღვრავს გასატარებელ ღონისძიებებს. მონიტორინგის ჯგუფი ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას და პირველი სემესტრის ბოლოს ადგენს შემოწმების აქტებს.<br>ამრიგად სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და განვითარებას განიხილავს მთლიანად სკოლის ხარისხის განვითარების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;<br>• დირექტორის მოადგილის სემესტრული ანგარიში;<br>• კათედრის თავჯდომარეების სემესტრული ანგარიშები;<br>• გამოკითხვების შედეგები და ანალიზები;<br>• მონიტორინგის ჯგუფის აქტები;<br>• ინტერვიუ დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | **შემაჯამებელი დავალებები გაანალიზებულია კლასის დონეზე. სასურველია მათი გაანალიზება მოხდეს ასევე კონკრეტული მოსწავლის საჭიროების დონეზე, რათა უფრო კონკრეტულად დაიგეგმოს მოსწავლის მხარდაჭერის შემდგომი ეტაპები.** |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს კანდიდი საშუალო სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში. სკოლას აქვს ორი შენობა. ერთ შენობას დაწესებულება მოიხსენიებს ადმინისტრაციულ შენობად (შემდგომში ადმინისტრაციული შენობა) და მეორეს დაწყებითი კლასების (შემდგომში დაწყებითი კლასები) შენობად.<br>ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N135-ის მიმდებარედ.<br>დაწყებითი კლასების შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N61-ში.<br>რეესტრის ამონაწერის მიხედვით:<br>• ადმინისტრაციული შენობის საერთო ფართია 891,51 კვ.მ. დაზუსტებული ფართობი-2688კვ.მ და მისი მესაკუთრეა შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლა ID ნომერი 209476173<br>• დაწყებითი კლასების შენობის საერთო ფართობია 689,19 კვ.მ.(მათ შორის საზაფხულო ფართობი 17.11 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 17.07 კვ.მ, სასწავლო აუდტორიის ფართობი 655.01 კვ.მ) დაზუსტებული ფართობი 2047.00 კვ.მ. შენობის მეპატრონეა შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლა ID ნომერი 209476173<br>ორივე შენობა ორსართულიანია. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | • თბილისი, ხიზანიშვილის ქ. N61.<br>• თბილისი. ხიზანიშვილის ქ N 135. |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 72.13.02.591 (ადმინისტრაციული შენობა)<br>01.11.10.006.026 (დაწყებითი კლასების შენობა) |
| *კვ.მ.* | მიწის საერთო ფართი - 2047.00 + 2688.00კვ.მ., ჯამში - 4735.00 კვ.მ.<br>შენობების საერთო ფართი - 689.19 + 891.51 კვ.მ, რაც საერთო ჯამში შეადგენს 1580.7 კვ.მ-ს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | • ამონაწერები საჯარო რეესტრიდან; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სკოლის შენობების გეგმები. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის საკუთრებაში არსებულ ორივე შენობაში არის 32 საკლასო ოთახი. ადმინისტრაციულ შენობაში - 20 და დაწყებით შენობაში - 12 ოთახი. ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ საკლასო ოთახებში განთავსებული იყო სულ 610 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამი, დაფა, თაროები, კარადები.<br>სკოლის ორივე შენობაში არის ბიბლიოთეკა და კომპიუტერების ლაბორატორია (ინტეგრირებული), ექიმის/ექთნის კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, სამასწავლებლო, სველი წერტილები ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის, ადაპტირებული სველი წერტილები, დიდი ზომის ოთახები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას ისეთი სპორტული აქტივობებისათვის, როგორიცაა ტანვარჯიში, კარატე, ცეკვა და სხვა. ადმინისტრაციულ შენობაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი, ხოლო დაწყებითი კლასების შენობაში სასადილო ოთახი ელექტროქურებით.<br>სკოლის ორივე შენობის ეზოში არის სპორტული მოედანი და სარეკრეაციო ზონები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ეზოში, ორივე ლოკაციაზე არის მოწყობილი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, რომელიც შემოღობილია და დაცულია. ორივე შენობის პირველ სართულზე არის დიდი ოთახი, რომელიც შესაძლებელია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გამოყენებულ იქნას როგორც პატარა დახურული დარბაზი ცეკვის, კარატეს, ტანვარჯიშის, აერობიკისათვის და სხვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • **ვიზუალური დათვალიერება**<br>• სპორტული ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის დებულება, რომლითაც რეგულირდება სკოლის სარგებლობაში არსებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების მუშაობა.<br>სკოლას ადმინისტრაციულ შენობაში აქვს საბუნებისმეტყველო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია-ანატომიის) კაბინეტი. კაბინეტს მიეწოდება წყალი და დენი. ნიავდება ბუნებრივი გზით.<br>ლაბორატორია შეიცავს ყველა იმ დასახელების აღჭურვილობას, რაც მოცემულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" №572 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტულ საორიენტაციო პაკეტში. ლაბორატორიაში განთავსებულია კარადები, რომლებიც იკეტება და შესაბამისად მოსწავლეებისათვის ქიმიურ რეაქტივებთან თავისუფალი წვდომა შეზღუდულია.<br>სკოლის ორივე შენობაში (ადმინისტრაციული და დაწყებითი კლასები) ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა განთავსებულია ერთ სივრცეში. განსაზღვრულია აღნიშნული სივრცის, როგორც ისტ ტექნოლოგიების საგაკვეთილო პროცესისათვის გამოყენების გრაფიკი (სკოლას ისტის გაკვეთილები შემცირებული აქვს და ის ისწავლება მხოლოდ მეორე, მეხუთე და მეექვსე კლასებში 1 საათიანი დატვირთვით. ამასთან ადმინისტრაციულ შენობაში ისტი ტარდება მხოლოდ მეხუთე და მეექვსე კლასებისთვის და დაწყებითი კლასების შენობაში მეორე კლასებისთვის).<br>ბიბლიოთეკაში კომპიუტერული კლასის არსებობით უზრუნველყოფილია ინფორმაციის მეტი ხელმისაწვდომობა, ხოლო იმ პერიოდში,როდესაც ლაბორატორიაში ტარდება გაკვეთილები, თუ მოსწავლეებს დასჭირდათ ბიბლიოთეკით სარგებლობა, წინასწარ შეთანხმებით ბიბლიოთეკარი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფს წიგნების მიწოდებას. სკოლაში არის თავისუფალი სივრცეები/საკლასო ოთახები, რომლებიც მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ როგორც სამკითხველო დარბაზი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის დებულება;<br>• შპს „კანდიდი" საშუალო სკოლის დირექტორის 2016 წლის 20 ივნისის N02-45 ბრძანება;<br>• ხელშეკრულება ლაბორატორიის შესყიდვაზე;<br>• ლაბორატორიის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტები;<br>• სასაქონლო ზედნადებები რეაქტივების შესყიდვაზე;<br>• ინტერვიუ ბიბლიოთეკარებთან;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტ რეჟიმში. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ფანჯრის ღიობის ფართი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ ბუნებრივ განათებულობის დონეს. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, რომელიც მუშაობს ბუნებრივ აირზე. გათბობის ქვაბები ადმინისტრაციულ შენობაში არის შენობის გარეთ, დაწყებით კორპუსში - შენობაში. გათბობის ქვაბები დამონტაჟებულია ყაზტრანსგაზთან შეთნხმებული პროექტით. (იხ. დანართი 2. ივნისი 2014 წ.). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დენის, ბუნებრივი აირისა და წყლის საგადახდო ანგარიშფაქტურები;<br>• ყაზტრანსგაზის აქტი-დანართი 2;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ორივე შენობაში ბიბლიოთეკა და ისტის კაბინეტი განთავსებულია ერთ სივრცეში. ორივე ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია შესაბამისი საფეხურების სასკოლო სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და მხატვრული, სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა, პერიოდიკა, ჟურნალები („ისტორიანი“ და „National Geographic). სკოლას აქვს ელექტრონული კატალოგი Open Biblio. სულ ბიბლიოთეკაში არის 1640 წიგნი. მათ შორის 116 სასკოლო სახელმძღვანელო. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და მითითებულია საინვენტარო ნომერი. ბიბლიოთეკა მუშაობს ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშობის საათები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022 წლის 26 იანვრის ხელშეკრულება N2022 გაფორმებული ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017 თან Open Biblio-ს ახალი ვერსიის გამართვაზე;<br>• „ Open Biblio“ მიღება-ჩაბარების აქტი 2022 წლის 27 თებერვალი;<br>• წიგნებისა და პერიოდიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მიწისზედა სართულზე შესასვლელად დამონტაჟებული აქვს პანდუსები, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ კორპუსს აქვს 3 შესასვლელი და სამივე შესასვლელში არის პანდუსი. მეორე სართულზე ასასვლელად გამოიყენება მოძრავი პანდუსი (ორივე შენობაში). ადმინისტრაციულ შენობაზე მესამე სართულის დაშენების შემთხვევაში, სკოლა გეგმავს ლიფტის მოწყობას, რის შედეგადაც სასწავლო სივრცის ხელმისაწვდომობა სსსმ პირებისათვის კიდევ უფრო გაიზრდება.<br>სკოლას ორივე შენობაში აქვს მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება N5897231. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | **სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის შეძენილი აქვს 4 ცალი ნოუთბუქი, 29 პერსონალური კომპიუტერი, 4 პროექტორი და 6 პრინტერი/ქსეროქსი.**<br>სკოლას ემსახურება ინტერნეტპროვაიდერი კომპანია - „ჯორჯიან აირლინკი''. სკოლის ვებგვერდია: www.kandidi.ge, სოციალური გვერდი და ელექტრონული ფოსტა skolakandidi@gmail.com, რომლებიც ასრულებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის ისტორია, სიახლეები, სტრუქტურა, დებულება, შინაგანაწესი, ფოტო და ვიდეო მასალა და საკონტაქტო ინფორმაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ინტერნეტით მომსახურების ხელშეკრულება;<br>• დომენური სახელის რეგისტრაციის შესახებ ხელშეკრულება;<br>• კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• ვებ. გვერდი http://kandidi.ge/ ;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შიდა პერიმეტრი აღჭურვილია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით, კერძოდ ფხვნილოვანი ცეცხლმაქრებით (სულ 10 ერთეული ცეცხლმაქრი) და სპეციალური უსაფრთხოების სისტემით. ადმინისტრაციულ შენობაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების თანამედროვე სისტემა, რომელიც მოიცავს გასასვლელ მანათობელ ნიშნებს, საკვამლე დეტექტორებს და სიგნალიზაციის პულტს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე სკოლაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს, შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი. შემუშავებულია ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, ადამიანთა უსაფრთხოებისა და სწრაფი ევაკუაციის უზრუნველსაყოფად სკოლის პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია. წელიწადში ორჯერ ტარდება ტრენინგები ხანძრის დროს ქცევის წესებზე. მას უძღვება სკოლის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;<br>• ხელშეკრულება სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მიწოდებასა და მონტაჟზე;<br>• ანგარიშფაქტურები;<br>• სკოლის შრომის უსაფრთოების სპეციალისტის აქტივობის გეგმები;<br>• ფოტო მასალა;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ორივე შენობის შესასვლელში და დერეფანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის სამსახურის ტელეფონის ნომერი - 112. ადმინისტრაციული კორპუსის საევაკუაციო გეგმა შეთნხმებულია ქ. თბილისის მერიის - სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილების უფროსთან, ხოლო დაწყებითი კორპუსის საევაკუაციო გეგმა - ქ. თბილისის მერიის - სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილესთან. ორივე შენობაში არის საევაკუაციო კიბე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულება საევაკუაციო გეგმის, ტექნიკური პროდუქციის, შექმნაზე;<br>• საევაკუაციო გეგმები;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• ცეცხლმაქრების დატუმბვის ინვოისები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას როგორც ადმინისტრაციულ, ასევე დაწყებით კორპუსში აქვს სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო დახმარების კაბინეტი. კაბინეტები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე გასავლელ კარებთან სიახლოვეს. კაბინეტებში, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა.<br>სკოლას აქვს პირველადი დახმარების აუცილებელი მედიკამენტები და ინვენტარი, ასევე წამლების მიღების, გატარებისა და ჩამოწერის შესაბამისი ფორმები. სკოლა კონფიდენციალობის დაცვით აწარმოებს მოსწავლეთა მიმართვიანობის აღრიცხვას ასევე ექთანს დაფიქსირებული ჰყავს მოსწავლე, რომელსაც სჭირდება მისი მუდმივი მხარდაჭერა და შესაბამისად უწევს დახმარებას. ადმინისტრაციულ კორპუსში დასაქმებულია ექთანი, ხოლო დაწყებითი სწავლების კორპუსში-ექიმი. ექთანთან და ექიმთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. სამედიცინო პერსონალი შერჩეულია კანონმდებლობის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი ;<br>• ექიმისა და ექთნის ხელშეკრულებები;<br>• სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების შესყიდვისა და ჩუქების აქტები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შპს „კანდიდი" საშუალო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (დამტკიცებული 2020 წლის 23 იანვრის 01-04 ბრძნებით). დოკუმენტი შეთნხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (წერილი MES 9 20 00033444).<br>უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სამართალდამცავი და უფლებადამცავი პირების/უწყებების ნომრები. სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით აწვდის ინფორმაციას სამართალდამცავი და უფლებადამცავი პირების შესახებ.<br>სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უსაფრთხოების დაცვას და სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს.<br>ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის MES 9 20 00033444 წერილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმებაზე;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>• შპს “კანდიდი” საშუალო სკოლის დირექტორის 2020 წლის 23 იანვრის 01-04 ბრძანება;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან;<br>• დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში დამონტაჟებულია 13 კამერა. მათ შორის 6 კამერით კონტროლდება სკოლის გარე პერიმეტრი, ხოლო 7 კამერით სკოლის შიდა პერიმეტრი.<br>დაწყებითი კლასების შენობის გარე პერიმეტრი კონტროლდება 8 კამერით, ხოლო შიდა პერიმეტრი 9 კამერით.<br>სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე განხორციელებული ვიდეოკონტროლის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია სკოლის შენობების შესასვლელებში;<br>პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებული ვიდეო კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟებაექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ნასყიდობის ხელშეკრულება;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული წესდებით, შინაგანაწესით, დებულებით და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.<br>• სკოლის ორგანიზაციის წესდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არის შემუშავებული. წესდებით რეგულირდება საზოგადოების მართვა, საზოგადოების ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობა, პარტნიორის უფლება-მოვალეობები, საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია;<br>• სკოლის დებულებით განსაზღვრულია სკოლის სტატუსი, მიზნები, ამოცანები, პრიორიტეტები, სკოლის სტრუქტურა და მართვის მექანიზმები, სკოლის ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის, სკოლის სტრუქტურული ერთეულების - პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, კლასის დამრიგებლის ფუნქციები, სკოლის ქონებისა და ფინანსების მარეგულირებელი ნორმები, სკოლის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი;<br>• შინაგანაწესის მიზანია სკოლის საქმინობისათვის ხელშეწყობა, სკოლის მისიის შესრულება და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება და კონტროლი, სკოლაში დისციპლინის: სასწავლო და სამუშაო დროის რეგულირება, მოსწავლეთა და დასაქმებულთა ქცევის მოწესრიგება და კონტროლი. შინაგანაწესი აწესრიგებს სკოლასა და სკოლის მიერ დასაქმებულ პირებს შორის შრომით და მის თანამდევ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სამუშაოს და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებსა და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობების წარმოშობის/შეწყვეტის და საბოლოო ანგარიშსწორების, შრომითი ურთიერთობების პირობებს, შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------
---------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წესს, დასაქმებულის და მოსწავლეების წახალისების ფორმებსა და დისციპლინურ პასუხისმგებლობებს, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობებს და სხვა. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.<br>შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.<br>სკოლის სტრუტურული ერთეულები: კათედრები და პედაგოგიური საბჭო, ასევე ცალკეული პირები: ბიბლიოთეკარი და ექიმი თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სკოლის მიერ შემუშავებული დებულებების/მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის წესდება;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის დებულება;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის შინაგანაწესი;<br>• სტრუქტურული ერთეულების დებულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა გრძელვადიანი ( ექვსწლიანი) 2016-2022 წწ და 2022-2028 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმები და მიმდინარე 2021-2022 წწ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. 2022-2028 წწ. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2021 წლის დეკემბერში. სასურველია სკოლამ ჯერ დაასრულოს და შეაფასოს მიმდინარე სტრატეგიული გეგმა და შეფასების შედეგებზე დაფუძნებით შეიმუშაოს ახალი სტრატეგიული გეგმა.<br>ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმა ემსახურება სკოლის მისიის მიღწევას. სკოლას სტრატეგიული განვითრების გეგმა შემუშავებული აქვს სვოტ ანალიზის საფუძველზე.<br>სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია:<br>• საგანმანათლებლო სერვისების, ადამიანური და მატერიალური-ტექნიკური რესურსების და სკოლის ორგანიზაციული განვითარება;<br>• უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფა;<br>• მშობელთა ჩართულობის ამაღლება.<br>სკოლა ასევე გეგმავს გაფართოებას. სკოლის ღობის განახლება/გამაგრებას, შენობის მესამე სართულის დამატებას და ლიფტის დამონტაჟებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს ,,კანდიდი'' საშუალო სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა დამტკიცებული 2021 წლის 07 სექტემბერს N01-81 ბრძანებით;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის ექვსწლიანი 2022-2028 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის ექვსწლიანი 2021;<br>• სვოტანალიზი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებასა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენების საქმეში და ვრცელდება ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზეც).<br>სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. დოკუმენტაციების რეგისტრაცია მიმდინარეობს ორ სხვადასხვა კორპუსში. ძირითადი დოკუმენტაციის საქმისწარმოება ხორციელდება ადმინისტრაციულ კორპუსში, ხოლო დაწყებით კორპუსში ხორციელდება მარტივი კორესპონდენციის რეგისტრაცია/წარმოება, რომელიც უშუალოდ ეხება დაწყებით საფეხურს (I-IVკლასი). საქმისწარმოების წესით დაზუსტებულია იმ დოკუმენტაციისა და კორესპონდენციების ნუსხა, რომელიც იწარმოება/აღირიცხება დაწყებით და ადმინისტრაციულ კორპუსებში. სკოლაში ინახება ყველა დოკუმენტის დედანი ან ასლი. ოფიციალური წერილები ფორმდება სკოლის მიერ შემუშავებულ სატიტულო ფურცელზე. საქმისწარმოებას უძღვება ორი საქმისმწარმოებელი.<br>სკოლაში მოქმედებს საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების, შემოსული და გასული დოკუმენტაციის, შრომის ხელშეკრულებების, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები.<br>სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია, რაც უზრუნელყოფს მათ სანდოობას და მთლიანობას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2017 წლის 03 იანვრის N01-1 ბრძანებით დამტკიცებული შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>• სარეგისტრაციო ჟურნალები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | **საქმიანობის უკეთ დაგეგმვისა და წარმართვის მიზნით სკოლამ ჯერ დაასრულოს და შეაფასოს მიმდინარე გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა და შემდეგ , შეფასების შედეგებზე დაფუძნებით, შეიმუშაოს ახალი, გძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.** |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | **ვიზიტის პერიოდში სასკოლო სასწავლო გეგმასთან მიმართებაში განხილული იქნა საშტატო განრიგი.**<br>**დაწესებულების საშტატო ერთეულებია: 2 დირექტორი. დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში,** ხარისხის მართვის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელები, დამრიგებლები, ინფორმაციული მენეჯერი, ფსიქოლოგი და მისი დამხმარე, 2 საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი და მისი დამხმარე, ბუღალტერი, იურისტი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ექიმი/ექთანი 2, დამლაგებელი - 4; დარაჯი - 4. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მასწავლებელთა რაოდენობა, ასევე შესაბამისი ადამიანური რესურსი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საშტატო განრიგი;<br>• სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებები;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 51 |
| მოწვეული/მაძიებელი | 13/2 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0 |
| უფროსი მასწავლებლი | 31 |
| წამყვანი მასწავლებლი | 2 |
| მენტორის სტატუსი | 0 |
| დამატებითი სავალდებულო საგანი | 1 |
| პირობიანი მასწავლებელი | 2 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. თითოეული მასწავლებლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია;<br>• მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლები; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოტოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება (მუხლი 7). რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 174/ნ ბრძანებასთან. შინაგანაწესში გაწერილია ასევე შრომითი ურთიერთობის პირობები (თავი 5), შრომითი ურთიერთობის შეჩერების გაფორმება და დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი. დასაქმებულთა და მოსწავლეთა წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა (თავი 8).<br>შინაგანაწესით განისაზღვრება დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი და შესაბამისი სახდელები. დისციპლინურ გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები და საქმის გარემოებათა გამოკვლევის პროცედურა.<br>დამატებით სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, სადაც გაწერილია მასწავლებლის სამსახურში მიღების პროცედურა. პროცედურა გაწერილია ეტაპებად.<br>განცხადებების გავრცელება სკოლის ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება სხვადასხვა საშუალებებით (ვებ-გვერდები სამსახურის მაძიებელთათვის (pedagogi.ge; jobs.ge;).<br>მასწავლებელთა შერჩევის პირველ ეტაპზე ხდება pedagogi.ge-ზე წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა და შემდეგ გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.<br>სკოლაში ვიზიტისას ადგილზე შესწავლილი იქნა მასწავლებლებთან გასაუბრების ოქმები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები.<br>ამრიგად, სკოლა ხელმძღვანელობს შემუშავებული პროცედურებით, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის შინაგანაწესი;<br>• კონკურსის ჩატარების წესი;<br>• ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შრომითი ხელშეკრულებები. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას გააზრებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პირდაპირი გავლენა სწავლება/სწავლის ხარისხზე და შესაბამისად, მისთვის მნიშნელოვან ამოცანას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა, სოციალიზაცია, შეფასება, მოტივირება, პროფესიული განვითარება და შენარჩუნება. სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა დაფუძნებულია პერსონალის ძირითად საჭროებების განსაზღვრასა და შესაბამისი ღონისძებების განხორციელებაზე.<br>ადამიანური რესურსის მიზნობრივი და პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ახდენს თანამშრომელთა საჭროებების გამოვლენას კვლევების საფუძველზე, რომლისთვისაც გამოიყენება მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება. თუ მასწავლებელთა საჭიროებების კვლევამ გამოავლინა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას სკოლა იღებს ვალდებულებას რომ უზრუნველყოს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარება მათი პროფესიული განვითარების მიზნით ადგილობრივი, სკოლის რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით. სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ახორციელებენ საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობას, მათ შორის ორმხრივი თანამშრომლობა ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას, რომლებიც მიმართულია „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ სტუდენტებსა და სკოლის პერსონალის საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარებისაკენ. მემორანდუმი გაფორმებულია 2018 წლის 22 ოქტომბერს 7 წლის ვადით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. ჯგუფის მუშაობის პრინციპებია: გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. პროფსიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მოქმედებს წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით. ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პირველი სემესტრის ანგარიშის მიხედვით ჯგუფი ესწრებოდა არამარტო უფროსს და წამყვან მასწავლებლებს, არამედ მოწვეულ და მაძიებელ მასწავლებლებსაც მათი პროფესიული საჭიროების გამოსავლენად და შესაბამისი დახმარების აღმოსაჩენად. წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია მასწავლებლების როგორც ძლიერი მხარეები ასევე პროფესიული საჭროებები და განვითარების სასურველი მიმართულებები.<br>სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის საქმიანობასაც წარმოადგენს: საგაკვეთილო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება, განმავითარებელი ღონისძებების დაგეგმვა, მასწავლებლებისათვის კონსულტაციის გაწევა, მასწავლებელთა ინფორმირება საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და ტრენინგების შესახებ, საჭირო ტრენინგების მოძიება, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა, შეფასება და განმავითრებელი შეფასების მიცემა, კათედრებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფა.<br>მიმდინარე სასწავლო წლის მანძლზე:<br>• მასწავლებლები ინტენსიურად ესწრებოდნენ საგნობრივ შეხვედრებს ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში და კათედრაზე განიხილავდნენ მიღებულ ინფორმაციას;<br>• სკოლის ფსიქოლოგი პერიოდულად აცნობდა დამრიგებლებსა და პედაგოგებს მოსწავლეთა რთული ქცევის პრევენციის და რთული ქცევის მართვის მეთოდებს;<br>• მასწავლებელთა ნაწილმა გაიარა მართვისა და კომუნიკაციების საერთაშრისო სასწავლო უნივერსიტეტის (ალტერბრიჯი) კურსი „სწავლების ინტერაქციული მეთოდები და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაცია“;<br>• საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სკოლაში განხორციელდა სახანძრო უსაფრთხოების თეორიული სწავლების კურსი, რომელიც მოიცავდა ხანძარსაშიშ ან სხვა საფრთხის არსებობის შემთხვევაში მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეების ორგანიზებული ქცევის წესების გაცნობას. თეორიული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაცნობის შემდეგ ადმინისტრაციული კორპუსის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა პრაქტიკული სწავლება;<br>• ბიბლიოთეკარმა გაიარა სპეციალური გადამზადება საბიბლიოთეკო საქმეში.<br>ამრიგად სკოლას არამარტო შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებს მათ საჭიროებებიდან გამომდინარე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. ბრძანება N01-122. 29 დეკემბერი 2021 წ;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება . ბრძანება N01-123, 29 დეკემბერი 2021 წელი;<br>• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმა მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის პირველი სემესტრის ანგარიში;<br>• ხარისხის მართვის მენეჯერის 2021-2022 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში;<br>• ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლასა და შპს „შავი ზღვის საერთაშორიეო უნივრსიტეტს“ შორის;<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის პირველი სემესტრის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;<br>• მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი (პირველი სემესტრი);<br>• შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის პროფესიული განვითარების გეგმა 2021-2022 სასწ.წ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა ზრუნავს შექმნას დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმით განსაზღვრულია სკოლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვის, და დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულებაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქცია-მოვალეობები გადანაწილებულია, რაც სასკოლო საზოგადოების თოთოეულ წევრს საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. სკოლის თითოეული თანამშრომელი ამჟღავნებს საკმაოდ მაღალ პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისადმი. ანგარიშვალდებულების სისტემა სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირთა შორის გამართულია.<br>სკოლა წარჩინებულ მოსწავლეებს უფინანსებს სწავლის გადასახადის 50%-ს. სკოლის თვითმმართველობის წევრებს საშუალება აქვთ საკუთარ სურვილი გამოხატონ ღიად, შექმნან მათთვის საინტერესო კლუბები და განახორციელონ საინტერესო პროექტები. ახალგაზრდების ინიციატივების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით სკოლამ მათ გამოუყო სამუშაო ოთახი.<br>მშობელთა ჩართულობისა და კომუნიკაციის გაზრდის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს და ახორციელებს პროექტს „მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“.<br>მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოების, მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების გაზრდის და შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით სკოლა წლის განმავლობაში ახორციელებდა სხვადასხვა სასწავლო და სასკოლო პროექტებს, მათ შორის პროექტს, რომელიც ფარავდა მდგრადი განვითარების 17 -ვე მიზანს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს “კანდიდი” საშუალო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები;<br>• შპს “კანდიდი” საშუალო სკოლის დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის N01-01 ბრძანება;<br>• პედაგოგებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება;<br>• ღონისძიებების, პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კობულაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი1 . მშობლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულება 3 გვერდი

დანართი 2. ყაზტრანსგაზის აქტი 7 გვერდი.

თბილისი
(შევსების ადგილი)
თარიღი 19.06.2022 წ.
გვერდების რაოდენობა ჯამში 42.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოხოსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.